საქართველო, ქ. თბილისი
S.p.s. „monoliTi“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№114/13 „03“ დეკემბერი 2013 წ.

შ.პ.ს. ”ბიზნეს ცენტრი ვაჟაზე”-ს
დირექტორს ბატონ გოჩა ჯაიანს.

შემოწმება ჩაუტარდა ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №76ბ-ში მდებარე მრავალფუნქციურ შენობას, მასზე ერთი მსუბუქი სართულის დაშენების მიზნით. შენობა აგებულია 2011წელს.

საინჟინრო-გეოლოგიური მონაცემების მიხედვით, შენობის საძირკვლის ფუძედ მიღებულია III საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (ფენა №4)-არგილიტებისა და თიხოვანი ქვიშაქვების მორიგეობა, გამოფიტული, რომლის სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში Rc=110 კგ.ძ./სმ^2, საგების კოეფიციენტი k=100 კგ/სმ^3.

საანგარიშო კლიმატურ მონაცემებად მიღებულია აგრეთვე; ქარის ჩქაროსნული დატვირთვა 50კგ/მ^2, თოვლის დატვირთვა 50კგ/მ^2. სამშენებლო მოედნის სეისმურობა 8 ბალი.

გაანგარიშება ჩატარებულია ავტომატურ საანგარიშო კომპლექსით ”ЛИРА 9,4” პრინციპით ”ფუძე შენობა”.

პირობით ნიშნულად ±0.00 მიღებულია აბსოლუტური ნიშნული 494.43. შენობის საძირკველს წარმოადგენს რკინაბეტონის ნაბურღნატენი ხიმინჯები დიამეტრით 120 სმ. როსტვერკად გამოყენებულია რკინაბეტონის ფილა სისქით 50 სმ.

შენობის მზიდი კონსტრუქცია პროექტში წარმოდგენილია რკინაბეტონის მონოლითური კარკასით. რკინაბეტონის მონოლითური სვეტების განივკვეთის ზომებია 60სმX60სმ; 50სმX50სმ; 40სმX40სმ. სართულშორისი გადახურვის მონოლითური რკინაბეტონის ფილების სისქეები ყველა ნიშნულზე არის 16 სმ. ასევე რკინაბეტონის რიგელიების კვეთების ზომებია 40სმX60სმ. მონოლითური კიბის ფილის სისქე, აგრეთვე სართულშორისი ბაქნის ფილის სისქე 16 სმ-ია.

სარდაფის კედლების სისქეა 30 სმ. ზემოთაღნიშნულ ყველა კონსტრუქციაში გამოყენებულია ბეტონი კლ. B-20. შენობის სარდაფის კედლის გარე ზედაპირი დამუშავდეს ჰიდროიზოლაციის თანამედროვე საშუალებებით.

პროექტი შედგენილია დღეისათვის მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების საფუძველზე.

ამჟამად შ.პ.ს. ”ბიზნეს ცენტრი ვაჟაზე”-ს ხელმძღვანელობას, სურვილი აქვს არსებულ შენობას დააშენოს ერთი სრული სართული, რისთვისაც წარმოდგენილია პროექტის არქიტექტურული ნაწილი.

საპროექტო მოცემულობა ითვალისწინებს შენობის გადახურვაზე ერთი სართულის დაშენებას მსუბუქი (ფოლადის) კონსტრუქციებით.

არსებული შენობის რკინ.ბეტ.გადახურვის 18,10მ. ნიშნულზე სვეტებისა და რიგელების განივი კვეთებია: სვეტები 400X400მმ, რიგელების 400X600მმ

სართულშუა გადახურვა ნიშნ. 18,10- რკინ.ბეტ. ფილა სისქით 160მმ.

პარაპეტი-წვრილგანზომილებიანი პემზობეტონის ბლოკები რკინ.ბეტ. სარტყელით, სიმაღლით 1200მმ.

შემოწმებით დადგინდა, რომ არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მისი საძირკვლებისა და კარკასის კონსტრუქციული ელემენტების მზიდუნარიანობა მასზე ერთი სართულის დაშენების თვალსაზრისით ეჭვს არ იწვევს და სესაძლებლად მიგვაჩნია.

საპროექტო დასაშენებელი ნაწილის პირობითი ნიშნულად ±0,00 მიღებულია გადახურვის რკინ.ბეტ. ფილის თავის ნიშნული.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/